ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 25.11.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №48

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შპს „აკვაჰიდროსთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და აუდიტური კომპანია „ალსოს“ (ს/ნ: 412682770) შეფასების დასკვნების საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს „აკვაჰიდროს“ (ს/ნ: 443860252) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (მიწის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდ(ებ)ი: 42.13.33.044.606; 42.13.33.044.636; 42.13.33.044.634; 42.13.33.044.631; 42.13.33.044.623; 42.13.33.043.007; 42.13.33.043.013; 42.13.33.044.621; 42.16.42.782; 42.16.42.813; 42.13.33.044.607; 42.13.33.044.618; 42.13.33.044.619) აღნაგობის უფლებით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.

2.წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს დანართის შესაბამისად, შეფასების დასკვნის საფუძველზე.

3.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

დანართი №1				
სამშენებლო ობიექტი	N	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	წლიური საფასური
ხელრა ჰესი	1	42.13.33.044.606	2812	1850
	2	42.13.33.044.636	1513	1300
	3	42.13.33.044.634	114	125
	4	42.13.33.044.631	1161	850
	5	42.13.33.044.623	173	175
	6	42.13.33.043.007	885	750
იფარი ჰესი	7	42.13.33.043.013	675	600
	8	42.13.33.044.621	269	230
	9	42.16.42.782	365	240
	10	42.16.42.813	1321	580
	11	42.13.33.044.607	3232	2100
	12	42.13.33.044.618	10	20
	13	42.13.33.044.619	2	20
			12532	**8840**
ჯამი:				